საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიალექტი

დიალექტი (ბერძნ. dialektos – ლაპარაკი, თქმა, კილო), ერთი საერთო ენის დიფერენციაციის შედეგად მიღებული განშტოების სახელწოდება. ჩვეულებრივ, ამ ტერმინით აღინიშნება ტერიტორიული დ. დ-ის, ანუ კილოს განშტოებებია კილოკავები, კილოკავისა – თქმები, ხოლო თქმებისა – ქცევები. ამა თუ იმ ენის დ. უპირისპირდება იმავე ენის სხვა დ-ს ან დ-ებს ბგერითი შედგენილობით, გრამატიკით, ლექსიკით. საზ-ბის სოც. ნაირგვარობა განაპირობებს ენის სოც. დიფერენციაციას. სოც. დ. საერთო-სახალხო ენისგან მხოლოდ ლექსიკით განსხვავდება, მაგ., პროფესიული წრეების მეტყველება, ჟარგონი, არგო, სლენგი, სატელიტი, პირობითი (საიდუმლო) ენები და სხვ.